

---

## სტუდენტური ფორუმი

### ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები

პანო ჭაჭუა\*

#### I. შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, აუცილებელი პირობაა ადამიანის უფლებათა დაცვა, რაც, თავის მხრივ, შეუძლებელია განხორციელდეს სიცოცხლისუნარიანი, დამოუკიდებელი და ობიექტური სასამართლოს გარეშე. ამიტომაც, ბუნებრივია, სოციალისტური სისტემის რღვევის შემდგომ პერიოდში, უკვე დამოუკიდებელ, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ საქართველოში, მთელი სიმწვავეთ დაისვა საკითხი, რომ გატარებულიყო ძირეული სასამართლო რეფორმა.

ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რა შემადგენლობით განიხილავენ მათს ქვემდებარე საქმეებს ამა თუ იმ რგოლის სასამართლოები. აღნიშნული საკითხი განეკუთვნება საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის სფეროს. ამ კონტექსტში იურისტთა შორის აქტუალურია საუბარი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა და მის ალტერნატივებზე (შეფენები, ასიზები, სახალხო მსაჯულები, სახალხო მოსამართლეები და ა.შ.).

#### 1. მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმები

მსოფლიო იურისპრუდენცია განასხვავებს მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ორ ფორმას: ა) მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა უშუალოდ, პირდაპირი ფორმით; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა ე.წ. „შუალობითი“, ანუ არაპირდაპირი (ირიბი), ფორმით, ხალხის წარმომადგენელთა სახით.

პირველს განეკუთვნება მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობა მსაჯულების (ნაფიცი, სახალხო, ასიზები, შეფენები) სახით. ისინი წარმოადგენენ საზოგადოებას, სარგებლობენ ფართო (ხშირად მოსამართლის დარი) უფლებით, დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შუალობით, ირიბ ფორმას, იგი გულისხმობს მოქალაქეთა, საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენელთა მონაწილეობას არა მარტო სასამართლო პროცესის მსვლელობისას, არამედ წინასწარ გამოძიებაშიც. მაგალითად, მრავალი ქვეყნის კანონმდებლობები ითვალისწინებენ საქმის განხილვაში საზოგადოებრივი ბრალმდებლის მონაწილეობას; მოქალაქეთა განცხადებებს განიხილავენ როგორც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველს; კერძო თუ საზოგადოებრივ თავდებობას თვლიან აღკვეთის ღონისძიების სახედ; ფართოდ რთავენ მოქალაქეებსა და საზოგადოებას დანაშაულთა გამოძიებაში; ადგენენ

---

\* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

## სტუდენტური ფორუმი

მოქალაქეების მონაწილეობას ამა თუ იმ ფაქტის თუ საგამოძიებო მოქმედების შედეგის დადასტურებაში; გარდა ამისა, მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობად მიიჩნევა მათ მიერ მონმის სახით ჩვენების მიცემა.<sup>1</sup>

### 2. ნაფიცი მსაჯულები და ქართული რეალობა

ნაფიცი მსაჯულების გარშემო მსჯელობა, როგორც ჩანს, სულაც არ განეკუთვნება მხოლოდ თეორიული, დოქტრინული საუბრის თემას და მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, კონსტიტუციის 82-ე მუხლს დაემატა მე-5 პუნქტი („საერთო სასამართლოებში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით“), რომელმაც დაამკვიდრა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში. ბუნებრივია, აღნიშნული დებულება ვერ განსაზღვრავს მსაჯულთა სტატუსს, მათი ქცევის წესსა, და უფლება-მოვალეობებს. ამიტომაც მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ხელისუფლებამ გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება ამ ინსტიტუტის დანერგვასთან დაკავშირებით, უნდა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აღნიშნულ საკითხებს მოაწესრიგებს. თუმცა ეს მხოლოდ კანონის ნაუცბათევ მიღებას როდი გულისხმობს – საჭიროა საკითხის წინასწარ ღრმად გააზრება, ვინაიდან ამ ინსტიტუტის სპეციფიკა, ტრადიციები და ღრმა ისტორიული ფესვები ითხოვს დღევანდელი ქართული გარემოსა თუ იმ ისტორიული ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებშიც ჩამოყალიბდა ერის ცნობიერება.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მსგავს მოდელს ფეოდალური საქართველოს სამართლის წყაროებშიც ვაწყდებით. ეს არ არის ნაფიცი მსაჯული მისი თანამედროვე გაგებით, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების (მოქალაქეთა) მონაწილეობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. კერძოდ, საუბარია ე.წ. „ბჭე“-ს ინსტიტუტზე, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მხოლოდ გამორჩეულ ადამიანებს ანდობდნენ ამ ფუნქციის განხორციელებას. ბექა-აღბულას კანონებში (რომელიც ვახტანგ VI-ის კოდექსში შედიოდა) მოცემულია ბაგრატ III-ის სამართლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც, თავის მხრივ, ადასტურებს ამ ინსტიტუტის არსებობას. ასე მაგალითად, მე-100 მუხლში საუბარია: „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი [თ] ბჭედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“<sup>2</sup>. ანუ, როგორც ჩანს, ბჭეს და ნაფიც მსაჯულს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ: ისინი საზოგადოების რიგითი წევრები არიან, ირჩევიან მეფის მიერ (ნაფიც მსაჯულთა წინამორბედიც სწორედ ამ გზით აირჩეოდა) და მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში.

### 3. ნაფიც მსაჯულთა ნაირსახეობები

ნაფიც მსაჯულებს და მის ნაირსახეობებს – ასიზები (ფრანგული მოდელი), შეფენები (გერმანული მოდელი), სახალხო მოსამართლეები (იტალიური მოდელი) და სახალხო მსაჯულები (სოციალისტური და ზოგი პოსტსოციალისტური ქვეყნის მოდელი) – აქვთ ერთი საერთო ნიშანი: ყველანი წარმოადგენენ მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების არაპირდაპირი მონაწილეობის თვალსაჩინო ნიმუშს და ირჩევიან საზოგადოების რიგით წევრთაგან, თუმცა უამრავი განმასხვავებელი ნიშანი ახასიათებთ.

<sup>1</sup> *Божьев* (ред.), Уголовный процесс, учебник, 2-е издание, 2000, 103.

<sup>2</sup> *ჯავახიშვილი*, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 6, 1982, 88.

მთავარი თავისებურება, რაც პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, არის პრინციპული განსხვავება კლასიკურ ბრიტანულ და სხვა დანარჩენ მოდელებს შორის. როგორც ცნობილია, სასამართლოს წინაშე სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას დგას ორი მთავარი ამოცანა: ა) ბრალის ანუ ფაქტობრივი და ბ) სასჯელის ანუ იურიდიული საკითხის გადაწყვეტა. კლასიკურ ნაფიც მსაჯულთა მოდელში ამ საკითხთა გადაწყვეტისას მკვეთრად არის გამოიჯნული მსაჯულთა კოლეგიისა და პროფესიონალ მოსამართლეთა კომპეტენცია. ბრალის, ანუ ფაქტობრივ, საკითხს (იყო თუ არა დანაშაულებრივი ქმედება, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება განსასჯელმა, ბრალეულია თუ არა განსასჯელი აღნიშნული ქმედების ჩადენაში) წყვეტს მსაჯულთა კოლეგია დახურულ თათბირზე და გამოაქვს ვერდიქტი (გამამტყუნებელი ან გამამართლებელი). ხოლო სასჯელის საკითხს, ანუ იურიდიულ მხარეს (დანაშაულის შემადგენლობის, აუცილებელი მოგერიების, უკიდურესი აუცილებლობის, ქმედების კვალიფიკაციის და სხვა საკითხების გადაწყვეტა), წყვეტენ, ვერდიქტის დასაბუთებულობასა და სამართლიანობაზე მსჯელობენ პროფესიონალი მოსამართლეები და ადგენენ სასჯელის სახეს, ზომას და მსგავს საკითხებს (მაგ., სასჯელალსრულებითი დანესებულების სისტემის დადგენა შესაბამისი რეჟიმებით); მეორე – ნაფიცი მსაჯულები აირჩევიან ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, დანარჩენები კი აირჩევიან გარკვეული ვადით და მონაწილეობენ არაერთი საქმის განხილვაში; მესამე ნიშანი, რომელიც კლასიკურ მსაჯულებს ახასიათებთ, ეს არის 1:12 სისტემა, ანუ სასამართლოში საქმეებს განიხილავენ 1 პროფესიონალი მოსამართლე და 12 მსაჯული. ამას დოგმის სახე ჰქონდა, თუმცა შემდგომში დაშვებულ იქნა განსხვავებული მოდელებიც. მსაჯულთა ოდენობა ზოგჯერ შეიძლება კლებულობდეს (9, 6, 3 და ა.შ.), ან პირიქით, მატულობდეს (16, 18, 23, 24 და ა.შ.). მოდელი „1:12“ ძირითადად დამახასიათებელია ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებისათვის, თუმცა ხშირად ეს ქვეყნებიც უხვევენ ამ წესიდან. მაგ., აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ 1970 წელს დაადგინა, რომ რიცხვი 12 სულაც არ იყო მაგიური, შემდგომში კი გავრცელდა 6-მსაჯულიანი ჟიური.<sup>3</sup> ამერიკის ზოგიერთ შტატში კი გავრცელებულია 12-დან 23-მდე მსაჯულიანი კოლეგიები. 12-წევრიანი კოლეგიები გავრცელებულია ბევრ ქვეყანაში, მაგ.: კანადაში, ახალ ზელანდიაში.<sup>4</sup> კონტინენტური ევროპის ქვეყნებში გავრცელებული მოდელი გულისხმობს მსაჯულთა ოდენობის შემცირებას (12-ზე ნაკლები), მოსამართლეთა ოდენობის ზრდას (2-ზე მეტი), ან ორივეს ერთად. თუმცა მათი რიცხვის ცვალებადობა არ უნდა იწვევდეს რეალური არსის ცვლას და იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, ამა თუ იმ ქვეყნის მოდელი წმინდა ნაფიც მსაჯულებს განეკუთვნება, თუ მის სახესხვაობას (ძირითადად კონტინენტური ევროპის), უნდა დავადგინოთ, რამდენად არის მათი ფუნქციები გამოიჯნული ერთმანეთისაგან. აქ უფრო ხშირად ვხვდებით მრავალფეროვან თანაფარდობას. მაგ., საფრანგეთში იქმნება 12-მსაჯულიანი შერეული კოლეგიები.<sup>5</sup> ამასთან, მოქმედებს კოლეგია 3 პროფესიონალი მოსამართლისა და 9 მსაჯულის მონაწილეობით; 3-4 მოსამართლე და 2-3 მსაჯული (შვედეთი); 3 მოსამართლე და 5 მსაჯული (საბერძნეთი); 2 მსაჯული და 2 მოსამართლე (ავსტრია); 9 ძირითადი და 2 სათადარიგო მსაჯული (ესპანეთი);<sup>6</sup> 3 მოსამართლე და 2 შეფენი (გერმანია); 2 მოსამართლე და 6 მსაჯული (იტალია) და ა.შ.

<sup>3</sup> აბრამსონი, დგას თუ არა ამერიკის ნაფიცი მსაჯულების სისტემა სამართლიანობის გზაზე? „თავისუფლება“, № 11(23), 2004, 23.

<sup>4</sup> მელქაძე/დვალი, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, 2000, 78, 149.

<sup>5</sup> Петрухин, Суд присяжных: проблемы и перспективы, Гос. и право, 2001, №3, 10.

<sup>6</sup> დანვრილებით იხ. საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული II, 2002, 221.

ბოლო ათწლეულებში ცვლილება შეეხო არა მარტო რაოდენობრივ, არამედ უფლება-მოსილებრივ მაჩვენებლებსაც. უნდა ითქვას, რომ ვერდიქტის მიღებისათვის სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული წესი არსებობს, ანუ დადგენილია ხმათა განსხვავებული ოდენობა. აშშ-ის კანონმდებლობებს შორისაც არ არის ერთსულოვნება. ფედერალურ სასამართლოსა და 45 შტატის სასამართლოებში ვერდიქტი მიღებული უნდა იქნეს ერთხმად. სხვა შტატებში განსხვავებული პროპორცია არსებობს. თუმცა ყველა შტატი თანხმდება ერთ პრინციპზე: თუკი განსახილველი დანაშაულისათვის შესაძლებელია, პიროვნებას მიესაჯოს სიკვდილით დასჯა და მასზე ვერდიქტი გამოაქვს ექვს მსაჯულს, იგი ყველა შემთხვევაში უნდა იყოს ერთსულოვნად მიღებული.

ინგლისის კანონმდებლობაც გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოსატანად ითხოვდა ნაფიც მსაჯულთა აუცილებელ ერთსულოვნებას. ეს მოთხოვნა გაუქმდა 1967 წლის კანონით, ხოლო, 1974 წლის კანონით, მსაჯულების არაერთსულოვნების შემთხვევაში, ისინი არანაკლებ 2 საათის განმავლობაში უნდა იყვნენ სათათბიროდ. თუ ჟიური 12-წევრიანია, საჭიროა 10 მსაჯულის თანხმობა, თუ 10-წევრიანი – 9 მსაჯულისა, თუ 9-წევრიანია – 8 მსაჯულისა და ა.შ. საჭირო ხმების შეუგროვებლობის შემთხვევებში, განსასჯელი უნდა გამართლდეს და გაათავისუფლდეს სასამართლო დარბაზიდან.<sup>7</sup>

#### **4. ინსტიტუტის სოციალური დანიშნულება**

საუბარი აუცილებლად უნდა შეეხოს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სოციალურ დანიშნულებას. როგორც უკვე ითქვა, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უძველესი ტრადიციების მქონე სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში ფასდაუდებელი სამსახური გაუწია და დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მართლმსაჯულების განვითარებასა და დემოკრატიის დამკვიდრებაში. ნათელია ისიც, რომ ამ ინსტიტუტის პოპულარობა და მისდამი ნდობა განპირობებული იყო ასევე იმდროინდელი ისტორიული რეალობით.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დიდ სოციალურ როლს ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ ევროპული სახელმწიფოების რევოლუციების მთავარი ლოზუნგი სწორედ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა იყო. იგი აღიქმებოდა როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ფორმა. რევოლუციამდელი, მონარქიული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ სასამართლოები, ფაქტობრივად, მეფის ინტერესების დამცველ, მის ხელქვეით ორგანოს წარმოადგენდა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება კი განაპირობებდა ამ ორგანოს მეტ-ნაკლებ დამოუკიდებლობას პოლიტიკური ხელისუფლების კონტროლისაგან. ისტორიულად ცნობილია არაერთი გახმაურებული საქმე, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა რისკიანი, თუმცა ობიექტური გადაწყვეტილება, რითაც კიდევ უფრო განმტკიცდა ამ ინსტიტუტისადმი ხალხის ნდობა.

უნდა ითქვას, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა იმთავითვე უკავშირდებოდა რეფორმატორ მეფეთა ინიციატივას – მოეპოვებინათ სასამართლოსადმი ნდობა. თუმცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შემდგომში არაერთხელ იქნა გამოყენებული მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ აშშ, რომელიც დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. ამერიკელ თავისუფლებისათვის მებრძოლთა მთავარი მოთხოვნა იყო, ჰქონოდათ ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებელი სასამართლოს არჩევის უფლება, ხოლო მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ამერიკელი მენარმე დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ პასუხისგებაში მისცა მისთვის გადასახადის გადაუხდელობისა თუ მეფის ხელისუფლების კრიტიკის გამო, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ისინი გაამართლა (მაგ., ჯონ პეტერ ზენგერისა და ჯონ ჰანკოკის საქმეები).

<sup>7</sup> *Гуценко/Головки/Филимонов, Уголовный процесс западных государств, 2002, 139.*

კაპიტალისტურ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი აღქმული იყო როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის, საბაზრო ეკონომიკისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების საიმედო გარანტი. ამ ინსტიტუტმა აშშ-ში უფრო ღრმად გაიფხვრა და, აქაური ავტორიტეტული სასამართლო მოხელეების აზრით, მას დიდი მნიშვნელობა აქვს მართლმსაჯულების ეფექტურობისა და სოციალური დანიშნულების თვალსაზრისით.

სხვა დატვირთვა ჰქონდა ამ ინსტიტუტს სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებში, სადაც დანერგილი იყო ნაფიც მსაჯულთა ნაირსახეობა, „სახალხო მსაჯულთა“ ინსტიტუტის სახით. საბჭოთა კავშირში სახალხო მსაჯულს მართლმსაჯულებაში მონაწილეობაზე მეტი დატვირთვა ჰქონდა, ვინაიდან იგი დაკავშირებული იყო მარქსიზმის მოძღვრებასთან კომუნისტურ საზოგადოებაში სამართლის კვდომის შესახებ, ანუ: როცა არც სამართალი იქნება, არც სასამართლოები, ხოლო ინდივიდის ქცევა მხოლოდ საზოგადოების ზემოქმედებით გაკონტროლდება. საზოგადოების ყველა წევრი თვითონ ერთვებოდა მართლმსაჯულებაში და რწმუნდებოდა არსებული კანონების სამართლიანობაში. ასე უკავშირდებოდა სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას – ახალი ადამიანის აღზრდას.<sup>8</sup>

## **II. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების თავისებურებები**

უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მოქმედებდა ე.წ. „ორდალა“, ანუ პიროვნების ბრალეულობას ადგენდნენ იმის მიხედვით, თუ რამდენად გაუძლებდა იგი ფიზიკურ ტანჯვას. შემდგომში შეიქმნა ე.წ. „საღვთო (ღვთიური) სასამართლო“, სადაც დანაშაულის ჩამდენ პირს გაამართლებდნენ, თუ რამდენიმე კაცი დაიფიცებდა მისი არაბრალეულობის შესახებ. სწორედ აქედან მოდის სახელწოდება „ნაფიცი“.<sup>9</sup> იგი დროთა განმავლობაში თანდათანობით ემსგავსებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დღევანდელ მოდელს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უძველესი ისტორიული ტრადიციები აქვს. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ იგი გამოჩნდა საფრანგეთში ჯერ კიდევ 829 წელს, წმინდა ლუდოვიკოს (ღვთისმოსავი) მმართველობის დროს.<sup>10</sup> თუმცა ეს უფრო ვარაუდია და იურისტ მეცნიერთა უმრავლესობას მის სამშობლოდ მიაჩნია ინგლისი. მათი მოსაზრებით, იგი ჩამოყალიბდა 1066 წელს ნორმანების, კერძოდ, ვილჰელმ I-ის მიერ. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირება პირველად ოფიციალურად განმტკიცდა 1166 წელს, მეფე ჰენრი II-ის ორდონანსით. მას სურდა, სასამართლო გაეხადა უმნიშვნელო, სამართლიან ორგანოდ და ამით მისთვის მოსახლეობის ნდობა მოეპოვებინა.<sup>11</sup> XV საუკუნიდან იგი უკვე დამოუკიდებელი სასამართლო ორგანო იყო, რომელიც წყვეტდა საქმის ფაქტობრივ მხარეს. ამ ინსტიტუტის ავტორიტეტის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ე.წ. „ბუშელის საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის გამართლები-სათვის ნაფიც მსაჯულთა დაჯარიმება ან ციხეში ჩასმა იკრძალებოდა. ამ გადაწყვეტილების ძალით, 1670 წლიდან იგი მეფისა და სამეფო სასამართლოსაგან დამოუკიდებელ ორგანოდ იქცა. ინსტიტუტმა პოპულარობა შეინარჩუნა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად კათოლიკური ეკლესიის (ინკვიზაციის) მკვეთრი წინააღმდეგობისა და გავრცელდა ჯერ დასავლეთ ევროპის მონინავე სახელმწიფოებში (ინგლისი, ესპანეთი,

<sup>8</sup> დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სისტემები, 1993, 175.

<sup>9</sup> ლილუაშვილი, გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო?, სამართალი, 1992, 5, 4.

<sup>10</sup> Петрухин, Суд присяжных: проблемы и перспективы, Гос. и право, 2001, №3, 5.

<sup>11</sup> ჭაჭუა, მოსამართლე ოდენ ბაგვა კანონისა, „ახალგაზრდა იურისტი“, 2001, მაისი, 8.

## სტუდენტური ფორუმი

გერმანია, იტალია, საფრანგეთი, რუსეთი და ა.შ.), შემდეგ კი მათ კოლონიებში (აშშ, კანადა, ლათინური ამერიკა).<sup>12</sup> ინგლისურ ენაში ნაფიცო მსაჯულის ზუსტი შესატყვისი არ არსებობს და მას მოიხსენიებენ როგორც „jury“, „juries“, „juror“, „jurymen“, „jurywoman“.<sup>13</sup>

ამ ინსტიტუტს ხშირად დემოკრატიულ ღირებულებებთან აიგივებდნენ, ამიტომაც ევროპულ რევოლუციებს ლაიტმოტივად გასდევდათ ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება. აშშ-ში იგი დაინერგა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების მომენტიდან (1776წ), თუმცა ამ ინსტიტუტის ინგლისური მოდელის დანერგვას სხვადასხვა ქვეყანაში უმტიკივნილოდ არ ჩაუვლია, რასაც ორი ძირითადი მიზეზი ჰქონდა: პირველი, ყოველ სახელმწიფოს და ერს აქვს თავმოყვარეობა და თვითმყოფადობა, ამიტომაც მათ ბრიტანული ინსტიტუტების კოპირება არ სურდათ და გარკვეული ცვლილებები შეჰქონდათ არა მარტო მათს სახელწოდებაში, არამედ სტრუქტურასა და კომპეტენციაშიც; მეორე, ყოველი ერის ტრადიციებს თავისებურებები ახასიათებს, ამიტომ შეუძლებელია, ინსტიტუტმა, რომელმაც ერთ ქვეყანაში გაამართლა, ყველა სხვა ქვეყანაშიც ასეთივე წარმატებით იფუნქციონოს. ამიტომაც, ზოგიერთმა ქვეყანამ მოახდინა ამ ინსტიტუტის კორექტირება – შეიტანა მასში თავისი მართლშეგნების შესაბამისი ელემენტები და ისე დანერგა იგი. ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, რის შედეგადაც შეიქმნა ამ ინსტიტუტის „შერეული“ ფორმა, რომელსაც ძნელია, ნაფიცო მსაჯულთა სასამართლო ეწოდოს. მაგალითად, ასე მოხდა კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ოჯახის ქვეყნებში, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული სახის მოდელები ფუნქციონირებენ.

იმისათვის, რომ გარკვეული შეხედულებები გამოითქვას ამა თუ იმ სამართლის ოჯახსა და ნამყვან ქვეყანაში გავრცელებულ მსაჯულთა მოდელსა და მათ თავისებურებებზე და გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი, საჭიროა, უფრო კონკრეტულად მიმოვიხილოთ შესაბამისი სისტემები.

### III. ნაფიცო მსაჯულები სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში (მოკლე შედარებითი ანალიზი)

მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანაში გავრცელებულ მსაჯულთა სახეებზე, მათ სტატუსსა და ძირითად მახასიათებლებზე ზოგადი წარმოდგენისათვის საჭიროა განხილულ იქნეს სულ ცოტა სამართლის ორი სისტემის (ანგლოსაქსური, ანუ საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის, ანუ რომანულ-გერმანული) ქვეყნების მსაჯულთა მოდელები მაინც. ცალკე საუბრის თემაა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ე.წ. „სახალხო მსაჯულები“.

#### 1. ანგლოსაქსური სამართლის ოჯახის ქვეყნები

ბუნებრივია, საუბარი იმთავითვე უნდა შეეხოს მსაჯულთა პირველწყაროს და მის კლასიკურ ფორმას – ნაფიცო მსაჯულებს. აღნიშნული მოდელი, როგორც წესი, დამახასიათებელია ანგლოსაქსური სისტემის ქვეყნებისათვის. ამ ინსტიტუტზე სრული წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია ინგლისურ-ამერიკული მოდელის გაცნობა, ვინაიდან საერთო სამართლის სივრცეში სწორედ ეს ორი სახელმწიფოა „კანონმდებელი“ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების სფეროში, მათ შორის ნაფიცო მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებითაც.

<sup>12</sup> ჭაჭუა, სასამართლო რეფორმის ზოგიერთი ინსტიტუციური ხარვეზის შესახებ, ქართული სამართლის მიმოხილვა, 2003, 2-3, 424.

<sup>13</sup> Гущенко/Головки/Филимонов, Уголовный процесс западных государств, 2002, 77.

ა) ინგლისი. უნდა ითქვას, რომ ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში ნაფიცი მსაჯულები გაცილებით პოპულარულია, ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში. აქ ბევრად მეტია სასამართლოს თავისუფალი, შემოქმედებითი მოქმედების არეალი, ვინაიდან იგი ნაკლებადაა შეზღუდული კანონებით და ნორმატიული დოგმებით. ასე ხდებოდა ოდითგანვე, რამაც განაპირობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც თავისუფლების დამცველი ორგანოს, პოპულარობა. ანუ აქ გაზრდილია ადვოკატთა როლი მტკიცების პროცესში, რასაც ვერ ვიტყვით კონტინენტურ ევროპაზე, სადაც მოსამართლე მკაცრადაა დამოკიდებული კანონებზე და მხოლოდ მის გარშემო, ვინრო ჩარჩოებში, „მანევრირებს“. თუმცა, ისევე როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა აქაც საკმაოდ იშვიათად ხდება. ეს განსაკუთრებით შეეხება სამოქალაქო საქმეებს. ინგლისში ისინი განხილავენ სისხლის სამართლის საქმეთა 4%-ს და სამოქალაქო საქმეთა 1%-ს. (უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში სამოქალაქო საქმეების განხილვისას მსაჯულები მონაწილეობენ ცილისწამების, ქორწინების პირობების გატეხისა და მოტყუების ბრალდების საქმეებზე. მსაჯულები ძირითადად მონივეციან ფაქტის საკითხის გადასაწყვეტად<sup>14</sup>). ნებისმიერ მსხვილ კომპანიას თუ ორგანიზაციას ურჩევნია, მათი დავები განხილოს კომპეტენტურმა კოლეგიამ პროფესიონალ მოსამართლეთა შემადგენლობით და არ სურს, რომ მათი ბედი (ამ შემთხვევაში მათი ფინანსების ბედი) არაკომპეტენტური ადამიანების – მსაჯულების სენტემენტალურ განცდებსა თუ შესაძლო ფარულ ანგარებით ინტერესებზე იყოს დამოკიდებული. გავლენას ახდენს ასევე მსაჯულთა მონაწილეობის რთული პროცედურები, მიკერძოებისა და მოსყიდვის ალბათობის მაღალი დონე.

ბ) დღეისათვის დიდ ბრიტანეთში შეინიშნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ინგლისური მოდელის შოტლანდიურთან დაახლოების ტენდენცია. შოტლანდიაში, სადაც, მართალია, 12 მსაჯული მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში, მაგრამ დასაშვებია მათი რიცხვის 9-მდე, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე – 8 მსაჯულამდე შემცირება. შოტლანდიაში გაიოლებულია მსაჯულთა მიერ გადაწყვეტილების მიღების წესიც და მათ ვერდიქტი ხმათა უბრალო უმრავლესობით გამოაქვთ, თუ უმცირესობაში აღმოჩნდა ორი მსაჯული და 23 საათის განმავლობაში შეთანხმებას ვერ მოახერხებენ.<sup>15</sup>

გ) აშშ-ში, რომელიც დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო, ეს ინსტიტუტი ინგლისური სამართლის გავლენის შედეგად დაინერგა. ამ ტიპის სისტემას ვერსად შეეხვდებით, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ისა და თანამეგობრობის ზოგიერთი ქვეყნის გარდა, როგორც არის, მაგალითად, კანადა, რომლის საკანონმდებლო სისტემა ინგლისიდან იღებს სათავეს.

აშშ-ის კონსტიტუციაში შეტანილი შესწორების წყალობით ამ ინსტიტუტმა მალე მოიპოვა პოპულარობა და XVII საუკუნიდან იგი იქცა თავისუფლების მთავარ მოკავშირედ – ბრიტანეთის მეტროპოლიის ტირანული რეჟიმისაგან ბრალდებულის საუკეთესო დამცველად, ვინაიდან თვითონ ამერიკელებს შეეძლოთ ემსახურათ როგორც ნაფიც მსაჯულებს. მისი ავტორიტეტის ამალგებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო გახმაურებულმა საქმეებმაც, მაგალითად, ჯონ პიტერ ზენგერის საქმემ, რომელმაც 1735 წელს ინგლისის მმართველობა გააკრიტიკა, რაც ინგლისური კანონებით დანაშაულად ითვლებოდა, თუმცა ნაფიცმა მსაჯულებმა იგი გაამართლეს; ასევე, მათ გაამართლეს ვაჭარი ჯონ ჰენკოკი, რომელიც არ ემორჩილებოდა ინგლისურ კანონებს, არ იხდიდა გადასახადებს და კონტრაბანდას ეწეოდა.<sup>16</sup> ყოველივე ეს ხდებოდა რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ კი აშშ-ს კონსტიტუციაში, რომელიც დღესაც ითვლება დემოკრატიის სიმბოლოდ, შევიდა შესწორებები. აშშ-ის

<sup>14</sup> დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სისტემები, 1993, 164.

<sup>15</sup> *მელქაძე/დვალი*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, 2000, 152.

<sup>16</sup> *აბრამსონი*, დგას თუ არა ამერიკის ნაფიცი მსაჯულების სისტემა სამართლიანობის გზაზე?, თავისუფლება, 11(23), 2004, 18.

კონსტიტუციის V შესწორებაში ვკითხულობთ: „არავის მოეთხოვება პასუხი მძიმე ან სხვა სახის სამარცხვინო დანაშაულისათვის, სანამ მას არ წარუდგენს ბრალდებას და არ გამოიტანს საბრალდებო დასკვნას ნაფიც მსაჯულთა დიდი ჟიური“.<sup>17</sup>

დიდი ჟიური აერთიანებს 16-დან 23-მდე მსაჯულს. ამ ორგანოს იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომელთათვისაც სასჯელის უმაღლეს ზომად სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული. გარდა სამხედრო-საზღვაო დანაშაულისა, სხვა შემთხვევაში სისხლის სამართლის წესით დევნისას ბრალდებულს აქვს სწრაფი და საჯარო გასამართლების უფლება იმ შტატის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, სადაც ჩადენილია დანაშაული.

გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული დიდი ჟიურის ინსტიტუტისა, აშშ-ში არსებობს მცირე ჟიურის ინსტიტუტიც, რომელიც შედგება 6 წევრისაგან და ისეთ საქმეებს იხილავს, როცა ბრალდებულს ემუქრება 6 თვეზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა.<sup>18</sup>

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში სხვადასხვა შტატის სასამართლოებში შეიქმნა მსაჯულთა კოლეგიები, რომლებშიც შედიან 9,8,7,6,5 და უფრო ნაკლები რაოდენობით მსაჯულებიც კი. მაგ.: ჯორჯიის შტატში ნაკლები საშიშროების შემცველი დანაშაულები შესაძლოა განიხილოს 5 მსაჯულის მონაწილეობით; ფლორიდაში, გარდა დანაშაულებისა, რომლებსთვისაც გათვალისწინებულია სასიკვდილო განაჩენი, მონაწილეობს 6 მსაჯული. სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით ვერდიქტის გამოსატანად კანონი ითხოვს 12 მსაჯულის აუცილებელ მონაწილეობას.<sup>19</sup>

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი აშშ-ში დღეისათვის უკვე არც ისე პოპულარულია, რაც მიუთითებს ამერიკელთა რაციონალურობაზე. აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს სისხლის სამართლის საქმეთა 6-7%-ს. ამის ძირითადი მიზეზი ისიც არის, რომ განსასჯელები უარს ამბობენ ამ ძვირადღირებული ინსტიტუტის გამოყენებაზე და უპირატესობას მაგისტრატების სასამართლოში განხილვას ანიჭებენ.<sup>20</sup> ამასთან, არც აშშ-ის და, უფრო მეტი, არც ევროპელი იურისტები არ მიიჩნევენ, რომ იგი მოძველებული ინსტიტუტია. პირიქით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ითვლება დასავლური დემოკრატიის სიამაყედ, სამართლებრივი სახელმწიფოს აუცილებელ ატრიბუტად, თუმცა, როგორც აღინიშნა, ისინი იხილვენ სისხლის სამართლის საქმეთა სულ რაღაც 6-7%-ს (ზოგი მონაცემით, 3-4 %-ს), მაგრამ ეს მათ როლს სულაც არ აკნინებს. აშშ-ში ყოველწლიურად ხდება 14-15 მილიონი დანაშაული, მათი აბსოლუტური უმრავლესობა წვრილმანია. თუ ჩავთვლით, რომ მათი 100% მძიმეა (რადგან მსაჯულები მხოლოდ ასეთი კატეგორიის საქმეებს იხილავენ), მაშინ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავდა მთლიანი საქმეების 15%-ს, რაც საკმაოდ დიდი ციფრია, ამ ინსტიტუტის მოუქნელობისა და სიძვირის გათვალისწინებით. ეს სასამართლო არ განიხილავს წვრილმან დანაშაულებსა და სისხლის სამართლის საქმეებს ბრალის აღიარებით, ვინაიდან ამ სასამართლოს მიერ მათი განხილვა მსაჯულთა ინსტიტუტის გადატვირთვას გამოიწვევდა.<sup>21</sup>

ის გარემოება, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა აშშ-ში უფრო მეტად შეინარჩუნა მნიშვნელობა, ვიდრე ინგლისში, ბუნებრივია, ძირითადად აშშ-ის კონსტიტუციის ზემოხსენებული შესწორებებით არის განპირობებული.

დ) ახალი ზელანდია, როგორც ცნობილია, განეკუთვნება ანგლოსაქსური სისტემის ქვეყანათა ჯგუფს და მას ახასიათებს ინგლისური მოდელისათვის დამახასიათებელი ყველა

<sup>17</sup> აშშ-ის კონსტიტუცია – კომპრომისის ხელოვნება, 1997, 250.

<sup>18</sup> იქვე, 251.

<sup>19</sup> *Гуценко/Головко/Филимонов*, Уголовный процесс западных государств, 2002, 265.

<sup>20</sup> *ფალიაშვილი*, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში), ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 3, 47.

<sup>21</sup> *Петрухин*, Суд присяжных: проблемы и перспективы, Гос. и право, 2001, №3, 14.



## სტრუქტურული ფორუმი

თვისება. ამ ქვეყანაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იხილავენ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებს. ნაფიც მსაჯულთა ოდენობა სისხლის სამართლის საქმეებზე არის 12, ხოლო სამოქალაქო საქმეებზე, თანხის გათვალისწინებით, 4-დან 12 მსაჯულამდე.

ე) კანადაც ასევე განიცდის ანგლოსაქსური სამართლის გავლენას, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ოლქის (მაგ., კვებეკი) კანონმდებლობა წმინდა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახს განეკუთვნება. (ინგლისი, სხვა ქვეყნების თავის კოლონიებზე ქვეყნის შემდეგ მოქმედებდა პრინციპით – ხელშეუხებელი დარჩეს აქ მოქმედი ჩვეულებითი სამართალი და არსებული სამართლებრივი სისტემა. ასევე მოხდა კვებეკშიც, რომელიც მანამდე საფრანგეთის კოლონია იყო და მიიერთა ინგლისმა, თუმცა მოქმედი ფრანგული სამართალი ხელშეუხებელი დატოვა<sup>22</sup>). აქ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი აქტიურად გამოიყენება კანონით გათვალისწინებულ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე. აქაური კანონმდებლობით მსაჯულთა ოდენობა უნდა შეადგენდეს 12-ს და გადაწყვეტილების გამოტანისას საჭიროა მათი ერთსულოვანი თანხმობა.

ვ) მექსიკაში ნაფიცი მსაჯულები აირჩევა ხალხის მიერ და მათი როლი დიდია მართლმსაჯულების განხორციელებისას. ყოველ განსასჯელს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ მისი საქმე განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, როცა სასჯელად მოსალოდნელია დაინიშნოს ერთ წელზე მეტი ხნით თავისუფლების აღკვეთა, ან როცა საქმე ეხება საზოგადოებრივი წესრიგის ან ბეჭდვითი სიტყვის უფლებათა დარღვევას.

ზ) ირლანდიაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ მაღალი ინსტანციის სასამართლოებში. სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში შედის ერთი პროფესიონალი მოსამართლე და 12 მსაჯული. ასეთი შემადგენლობის მქონე სასამართლოს ცენტრალური სისხლის სამართლის სასამართლო ეწოდება. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, საკმარისია 12-დან 9 წევრის თანხმობა. აღნიშნული სასამართლოს კომპეტენციაში შედის ასევე ოლქის სასამართლოების გადაწყვეტილებათა გადასინჯვა.<sup>23</sup>

თ) ავსტრალიაში უმაღლესი სასამართლო განიხილავს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს ერთი მოსამართლისა და 12 მსაჯულის მონაწილეობით, რომელთაც მოეთხოვებათ ვერდიქტის ერთხმად გამოტანა. სასამართლოს აღნიშნული რგოლი იხილავს ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებს, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი სასარჩლო ღირებულება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში შედის ერთი მოსამართლე, ხოლო ერთ-ერთი მოდავე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – 4 ან 6 მსაჯული.<sup>24</sup>

## 2. კონტინენტური ევროპის (რომანულ-გერმანული) სამართლის ოჯახის ქვეყნები

რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, თავდაპირველად მსაჯულთა ავტორიტეტი აქაც მაღალი იყო. თუმცა ამ ქვეყნებში გავრცელებულ მსაჯულთა სახეს ძნელად შეიძლება ეწოდოს ნაფიცი მსაჯულები – აშკარაა, რომ ისინი მსაჯულთა განსხვავებულ ნაირსახეობას განეკუთვნებიან. მათ განსხვავებული სახელწოდებები აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმა არსებობს – საქმეებს განიხილავს კოლეგია, რომელიც შედგება

<sup>22</sup> ცვაიგერტი/კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, 2004, 204.

<sup>23</sup> დანვრ. იხ. *მელქაძე და მისი გუნდი*, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, 2001, 244.

<sup>24</sup> *კოლუაშვილი*, სახელმწიფოებრიობის ძიებაში სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება (ავსტრალიის მაგალითზე), სამართალი, 1996, 12, 45.

## სტუდენტური ჟორჯი

მოსამართლისა და არაიურისტი (არჩევითი) წევრებისაგან. მათ იტალიაში სახალხო სასამართლოებს, რუსეთში სახალხო მსაჯულებს, გერმანიაში შეფენებს, ხოლო საფრანგეთში ასიზებს უწოდებდნენ. შემდგომში ამ სახელწოდებებმა ტრანსფორმაცია განიცადა.

კონტინენტური ევროპის ქვეყნებში, ისევე როგორც საერთო სამართლის ოჯახის სახელმწიფოებში, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა დაკავშირებულია დემოკრატიულ ცვლილებებთან. ამასთან, დემოკრატიის გაუქმება ან შემცირება ამ ქვეყნებში ყოველთვის იწვევდა მსაჯულთა ინსტიტუტის უგულვებელყოფას ან მათი როლის დაკნინებას. მაგალითად, ასე მოხდა იტალიაში 1926 წელს, როცა ფაშისტური ხელისუფლების მეთაურს, ბენიტო მუსოლინის, მიენიჭა ე.წ. „საგანგებო კანონების“ მიღების უფლება. ამ დროს ძალზე დაეცა ნაფიც მსაჯულთა როლი და ყველა მნიშვნელოვან საქმეს განიხილავდნენ ხელისუფლების მიერ დანიშნული მოსამართლეები; ასევე მოხდა მეფის რუსეთში 1917 წლის რევოლუციის შემდგომ და გერმანიაში მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, როცა ამ ქვეყანაში ფაშისტური რეჟიმი დამყარდა.

უფრო მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ ამ სივრცის ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი:

ა) საფრანგეთი ერთ-ერთია იმ ქვეყანათაგან, რომელმაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი დანერგა, თუმცა „შერეული ფორმით“. აქ ნაფიც მსაჯულებს უწოდებენ ასიზებს, რომელთა სასამართლო ორგანო არის ერთადერთი სასამართლო დანესებულება, სადაც სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში მონაწილეობენ არაპროფესიონალები, ე.წ. „ეროვნული ელემენტი“.

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მსგავსი მოდელი პირველად შემოიღეს 1808 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ამ დროს ფრანგული ასიზების სასამართლო შედგებოდა ორი ერთმანეთისგან გამიჯნული ნაწილისგან: ა) ძირითადი (3-7 ადამიანამდე), რომელიც წვევტდა სასჯელის საკითხს და ბ) 12 მსაჯულისაგან შემდგარი ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომელიც იხილავდა ბრალეულობის საკითხს. ასიზთა სასამართლომ ასეთი ფორმით იარსება საუკუნე-ნახევარზე მეტ ხანს. 1932 წლის 5 მარტის კანონით ნაფიც მსაჯულებს დაეკისრათ ვალდებულება, იმავდროულად მონაწილეობა მიეღოთ სასჯელის დადგენაშიც. ეს ნიშნავდა ნაფიც მსაჯულთა კლასიკურ მოდელზე უარის თქმას და ე.წ. „შერეული მოდელის“ შემოღებას, რომელთაც ჰქონდათ როგორც ნაფიც მსაჯულთა, ასევე შეფენების სასამართლოს ნიშნები, თუმცა ამ დროისათვის ასიზები უფრო ახლოს იყვნენ ნაფიც მსაჯულებთან, ვიდრე შეფენებთან. 1941 წლის 25 ნოემბერს ფაშისტების მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს მიღებულ იქნა ახალი კანონი და შეიქმნა ისეთი სისტემა, რომელშიც ასიზების სასამართლო ბრალისა და სასჯელის საკითხებს ერთობლივად წვევტდა პროფესიონალთა და არაპროფესიონალთა მონაწილეობით (1941 წლის კანონით ჟიურის წევრთა რიცხვი განისაზღვრა 3 წევრით, ხოლო 1945 წელს მიღებული ორდონანსით, მათი რიცხვი გახდა 7, თუმცა პროფესიონალ მოსამართლეთა რიცხვი უცვლელი დარჩა – 3 კაცი). 1941 წელს მარშალმა პეტენმა, ფაქტობრივად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ლიკვიდაცია მოახდინა და შემოიღო მსაჯულთა (შემდეგში მათ ეწოდა „სახალხო“) ისეთი სახეობა, რომელიც წმინდა ინგლისური-საგან განსხვავდებოდა არა მარტო მსაჯულთა და მოსამართლეთა რაოდენობის თანაფარდობით სასამართლო კოლეგიაში, არამედ მათი ფუნქციებითაც – 3 მოსამართლე და 6 მსაჯული, რომლებიც ერთობლივად წვევტდნენ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. 1958 წლის რეფორმით კი იგი ნამდვილად შერეული გახდა, ვინაიდან მსაჯულთა რიცხვის ზრდასთან ერთად (12 წევრი) გაიზარდა პროფესიონალ მოსამართლეთა როლი.<sup>25</sup>

<sup>25</sup> Гуценко/Головки/Филимонов, Уголовный процесс западных государств, 2002, 365-367.

მიუხედავად ამისა, 2000 წლის 15 ივნისის კანონით შენარჩუნდა ასიზთა სასამართლო არა მარტო პირველი, არამედ მეორე ინსტანციითაც, ანუ შეიქმნა ამ სასამართლოს სააპელაციო ვარიანტი. ყოველივე ეს კი მოწმობს საფრანგეთში ასიზთა სასამართლოს მდგომარეობის არასტაბილურობას.

დღეისათვის საფრანგეთში მსაჯულთა რიცხვი გაიზარდა და სასამართლოებში საქმე განიხილება ერთი მოსამართლისა და ცხრა მსაჯულის მონაწილეობით. ისინი ქმნიან ერთიან კოლეგიას და ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით წყვეტენ როგორც ბრალეულობის, ასევე სასჯელის სახის და ზომის საკითხს (თუმცა ახლახან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის საქმის განხილვას ანარმობდა ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომელიც 32 წევრისაგან შედგებოდა და იხილავდა იმ პიროვნების ბრალეულობის საკითხს, რომელიც არაერთგზის იყო ბრალდებული არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალურ ძალადობაში). მათს კომპეტენციაში შედის მძიმე კატეგორიის საქმეთა განხილვა. ეს სასამართლოები მდებარეობს პარიზსა და დეპარტამენტების მთავარ ქალაქებში. მათი სესიები ტარდება კვარტალში ერთხელ და ასევე იხილავენ არასრულწლოვანთა ბრალეულობასთან დაკავშირებულ საქმეებს<sup>26</sup>.

ბ) გერმანული მოდელიც არ განეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა კლასიკურ ვარიანტს. ამ ქვეყანაში აღინიშნება მსაჯულთა რიცხვის შემცირება კოლეგიაში, რაც ზოგჯერ მოსამართლეთა რიცხვის ზრდასთან არის დაკავშირებული. გერმანიაში იმთავითვე დაინერგა მსაჯულთა სასამართლო, რომელსაც ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო ინგლისის ანალოგიურ მოდელთან, მაგრამ კონსტიტუცია მაინც ნაფიც მსაჯულებს უწოდებდა, თუმცა სინამდვილეში არც გერმანული „შეფენები“ და არც ფრანგული „ასიზები“ წარმოადგენენ ნაფიც მსაჯულებს.

1922 წლიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო შეიცვალა ერთიანი კოლეგიით – შეფენების სასამართლოთი. დღეისათვის გერმანიაში მათი მონაწილეობა დაშვებულია მინების დონეზეც და ფუნქციონირებს მინის სასამართლოებიც, სადაც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ სამი მოსამართლისა და ორი შეფენის მონაწილეობით.<sup>27</sup>

ეს სახეცვლილება განპირობებული იყო ცნობილი გერმანული ხასიათით – მათ არ ისურვეს ინგლისური მოდელის დანერგვა უცვლელი სახით და აქცენტი გადაიტანეს პროფესიონალ მოსამართლეთა რიცხვის ზრდაზე. მსაჯულები და მოსამართლეები გერმანიაში, ისევე, როგორც კონტინენტური ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში, ქმნიან ერთიან კოლეგიას და გადაწყვეტილება გამოაქვთ ხმათა უმრავლესობით. მსაჯულთა მონაწილეობა და რაოდენობა დამოკიდებულია საქმის სირთულესა და სასამართლოს ინსტანციურობაზე.

გერმანიაში სასამართლო სისტემა მოიცავს ოთხ ძირითად რგოლს. ესენია:

– საუბნო სასამართლოში მოსამართლე ერთპიროვნულად ან ორი შეფენის მონაწილეობით იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს. ერთპიროვნულად იხილავს, როდესაც საქმე ეხება კერძო ბრალდებას ან კანონი სასჯელის მაქსიმუმად ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას; შეფენების მონაწილეობით კი სისხლის სამართლის საქმეები განიხილება მაშინ, როცა აღნიშნული დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 3 წელს აღწევს;

– მინის სასამართლო შედგება დიდი და მცირე პალატებისაგან. დიდი პალატა იხილავს შედარებით მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს სამი მოსამართლისა და ორი შეფენის მონაწილეობით; მცირე პალატა კი არის მეორე ინსტანციის სასამართლო და

<sup>26</sup> კვერენჩილაძე/მელქაძე, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, 1998, 126.

<sup>27</sup> Петрухин, Суд присяжных: проблемы и перспективы, Гос. и право, 2001, №3, 5.

## სტუდენტური ფორუმი

სააპელაციო წესით განიხილავს უზნის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე საჩივარს ერთი მოსამართლისა და ორი შეფენის მონაწილეობით;

– მიწის უმაღლესი სასამართლო იხილავს სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებს 5 მოსამართლის შემადგენლობით;

– გერმანიის ფედერაციული უზენაესი სასამართლო კი 5 მოსამართლის შემადგენლობით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს მეორე ინსტანციით, ან აკეთებს რევიზიას ქვედა სასამართლოთა გადაწყვეტილებებზე.<sup>28</sup>

გერმანიაში დგება შეფენობის კანდიდატთა სია, რომელთაგან საქმის განმხილველი სასამართლო შეარჩევს მთავარ და სათადარიგო, ანუ დამხმარე, შეფენებს. დამხმარე (სათადარიგო) შეფენები ჩაენაცვლებიან მთავარ შეფენებს, თუ ისინი გავლენ პროცესიდან ან სხვა მიზეზის გამო ვერ მონაწილეობენ საქმის განხილვაში.<sup>29</sup> ამასთან, გერმანული კანონმდებლობა დაწვრილებით აწესრიგებს შეფენების შერჩევის პროცედურებს და იმას, თუ ვინ არ შეიძლება შეასრულოს აღნიშნული მოვალეობა. კერძოდ, შეფენი არ შეიძლება გახდეს პირი: რომელსაც არ შესრულებია 25 წელი; პირი, რომელსაც შეუსრულდა ან პროცესის მიმდინარეობისას შეუსრულდება 70 წელი; პირი, რომელსაც ჯანმრთელობა არ აძლევს გადაადგილების საშუალებას; გონებრივად ჩამორჩენილი, შეურაცხადი პირები.

გერმანიაში შეფენი შეიძლება გახდეს მხოლოდ გერმანელი. ამასთან, თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით არ შეიძლება შეფენი გახდეს: ფედერაციის პრეზიდენტი; ფედერალური ან მიწის მთავრობის წევრები; მოსამართლე, პროკურატურის თანამშრომელი, ნოტარიუსი ან ადვოკატი; სასამართლო ხელისუფლების თანამშრომელი, პოლიციელი ან სასამართლო აღმასრულებელი; სასულიერო მოღვაწე ან რომელიმე რელიგიური გაერთიანების (სექტის) წევრი; ევროპარლამენტის, ბუნდესტაგის, ბუნდესრატის, ლანდტაგის წევრები; ექიმები, სტომატოლოგები, მედდა, ბებიასქალი; აფთიაქის ხელმძღვანელი, თუ სხვა ფარმაცევტი არ ჰყავს აფთიაქში; პირები, რომლებსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საზოგადოების წინაშე ან პოპულარულები არიან და ა.შ.<sup>30</sup>

კოლეგიის თავმჯდომარე, ისევე როგორც ნაფიც მსაჯულთა შემთხვევაში, ორგანიზაციული საკითხებით არის დაკავებული. მაგალითად, იგი ადგენს დღეს და საათს, თუ როდის უნდა გამოცხადდნენ შეფენები სასამართლოს სხდომაზე. თუმცა ფაქტია, რომ გერმანულ შეფენებს ნაფიც მსაჯულებზე მეტი უფლებამოსილება აქვთ. ისინი წყვეტენ როგორც ბრალის, ასევე სამართლის საკითხებს და, რაც ყველაზე მთავარია, აირჩევიან არა ყოველი კონკრეტული საქმის განხილვასთან დაკავშირებით (როგორც ეს ანგლოსაქსური ქვეყნების მაგალითზე ხდება), არამედ აირჩევიან წინასწარ შედგენილი სიებიდან 4 წლის ვადით.<sup>31</sup>

მიუხედავად იმისა, რომ იურისტები გერმანულ შეფენებს არ განიხილავენ ტიპურ ნაფიც მსაჯულებად, მათ ხშირად მაინც ნაფიც მსაჯულებს უწოდებენ, რაც, ძირითადად, განპირობებულია კონტინენტური ევროპის ქვეყნების კონსტიტუციების პოზიციით, თუმცა, საერთო შეფასებით, როგორც უკვე აღინიშნა, არც გერმანული შეფენები და არც ფრანგული ასიზები არ არიან კლასიკური ნაფიცი მსაჯულები.

<sup>28</sup> Гуценко/Головки/Филимонов, Уголовный процесс западных государств, 2002, 449.

<sup>29</sup> Karlsruher Kommentar zur Strafprozessordnung und zum Gerichtsverfassungsgesetz mit Einfuehrungsgesetz, V Auflage, Muenchen, 1993, 1928.

<sup>30</sup> Lutz Meyer-Grosse, Strafprozessordnung mit GVG und Nebengesetzen, 46. Auflage, Muenchen, 2003, 1537.

<sup>31</sup> Gobe, Strafprozess (Handbuch der Rechtspraxis), 5. Auflage, Muenchen, 1996, 57.

გ) რაც შეეხება იტალიას, აქ მოქმედებს ე.წ. „სახალხო სასამართლო“. აქ ყველა სასამართლოში ცალკე სექციის სახითაა ჩამოყალიბებული ნაფიც მსაჯულთა კოლეგია, რომელიც იხილავს ქვედა რგოლის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრებს. კოლეგია შედგება 2 მოსამართლისა და 6 სახალხო მსაჯულისაგან, რომელთაც შეარჩევს სასამართლოს თავმჯდომარე კომუნებიდან წარდგენილ კანდიდატთაგან. იტალიაში 1988 წლიდან შეიქმნა ტრიბუნალები, სადაც მსაჯულთა ნაცვლად მონაწილეობენ ექსპერტები – 2 მოსამართლე და 2 ექსპერტი.<sup>32</sup> იტალიაში 6 მსაჯულისაგან და 2 მოსამართლისაგან შემდგარი სასამართლო წარმოადგენს ერთიან კოლეგიას და ერთობლივად წყვეტენ ბრალეულობისა და სასჯელთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.<sup>33</sup>

დ) ესპანეთის კონსტიტუციით, ყველა მოქალაქეს აქვს მსაჯულის სახით მართლმსაჯულების განხორციელებაში მონაწილეობის უფლება, რაც სავალდებულო და ანაზღაურებად საქმიანობად ითვლება. 1995 წლის ორგანული კანონით „ნაფიც მსაჯულთა ტრიბუნალის შესახებ“ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება პიროვნების, პატივის, ღირსების, ადამიანის უფლებათა და უშიშროების წინააღმდეგ ჩადენილი, ასევე სამოხელეო და განზრახ ცეცხლის წაკიდებით ჩადენილი დანაშაულები. აღნიშნული ტრიბუნალის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე, რომელიც პროფესიონალი მოსამართლეა, 12 მსაჯული და 2 სათადარიგო მსაჯული. ამასთან, ნაფიცი მსაჯული შეიძლება გახდეს 18 წელს მიღწეული ესპანელი, რომელმაც იცის წერა-კითხვა და არ გააჩნია ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლი.<sup>34</sup>

ე) ავსტრიაში სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედის 3 მოსამართლე და 8 არაპროფესიონალი (მსაჯული). ფაქტის (ბრალეულობის, არაბრალეულობის) საკითხს წყვეტენ მსაჯულები, პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად.

მსუბუქი დანაშაულის ჩადენისათვის პიროვნებას ასამართლებს ერთპიროვნული მოსამართლე, თუ ამ დანაშაულისათვის სავარაუდო მისი სასჯელის მაქსიმუმი 3 წელს არ აღემატება; თუკი არსებობს უფრო მაღალი სასჯელის ალბათობა, მონაწილეობენ, აგრეთვე, მსაჯულები. ავსტრიელი მსაჯულებიც ე.წ. „შეფენების“ მოდელს განეკუთვნებიან – სასამართლო კოლეგია შედგება 2 მოსამართლისა და 2 მსაჯულისაგან. თუმცა ავსტრიაშიც ვხვდებით ნაფიც მსაჯულთა ჟიურის, რომელიც, ძირითადად, ანგლოსაქსური ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. ეს ჟიური წყვეტს განსასჯელის ბრალეულობის საკითხს და მოიწვევა, როდესაც პირს ემუქრება სამუდამო თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე, თუ განსახილველი საქმე ეხება პოლიტიკურ დანაშაულებს.

ვ) დანიაში მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებს (გარდა დანაშაულისა, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკურ საქმიანობასთან – თაღლითობა, მითვისება, გაფლანგვა და ა.შ.) იხილავს, პირველი ინსტანციით, სამი პროფესიონალი და 12 არაპროფესიონალი მოსამართლე. ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტა დაკავშირებულია როგორც ერთ, ასევე მეორე კოლეგიასთან. პროფესიონალი მოსამართლეები წყვეტენ განსასჯელის ბრალეულობის საკითხს ხმათა უბრალო უმრავლესობით (3-დან 2 ხმა), არაპროფესიონალები კი კვალიფიციური უმრავლესობით (12-დან არანაკლებ 8 ხმა). პიროვნება ბრალეულად მიიჩნევა, თუ ორივე კოლეგიის პოზიცია იდენტურია. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემდგომ ორივე კოლეგია ერთობლივად იღებს გადაწყვეტილებას სასჯელის ზომასთან დაკავშირებით. ამ

<sup>32</sup> ბეუიტაშვილი/მელქაძე, იტალიის სახელმწიფო სისტემა, 1997, 125.

<sup>33</sup> ფალიაშვილი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (გაამართლებს თუ არა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება საქართველოში), ადამიანი და კონსტიტუცია, 2004, 3, 48.

<sup>34</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, 1999, 156.

## სტრუქტურული ფორუმი

ერთობლივ კოლეგიაში არაპროფესიონალ მოსამართლეს (მსაჯულს) აქვს ერთი ხმის უფლება, ხოლო პროფესიონალ მოსამართლეს – ოთხი ხმის უფლება, ანუ ორივე კოლეგიას აქვს თანაბარი – 12-12 ხმის უფლება.<sup>35</sup>

ზ) სპეციფიკურად წესრიგდება აღნიშნული საკითხი შვედეთში, სადაც პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილავენ 3-4 მოსამართლე და 2-3 მსაჯული, თუ პიროვნებას ჯარიმაზე უფრო მკაცრი სასჯელი ელის. ძირითადი რგოლია „სასესიო სასამართლო“, სადაც სისხლის და საქორწინო-საოჯახო საქმეებს იხილავს ერთი მოსამართლე და 5 მსაჯული. ასევე, ადმინისტრაციული ორგანოების აქტებზე საჩივარს, ხელფასებთან, სოციალური უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებულ საქმეებს იხილავს ერთი მოსამართლე და სამი მსაჯული.

თ) საბერძნეთშიც მოქმედებს კონტინენტური ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი „შეფენური“ მოდელი. ამ ქვეყანაში მსაჯულები მონაწილეობენ პირველი ინსტანციით სისხლის სამართლის საქმეთა განხილვაში. სასამართლო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 3 მოსამართლე და 5 მსაჯული. ამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, სადაც აუცილებლად მონაწილეობენ მსაჯულები<sup>36</sup>.

ი) ბელგიაში მსაჯულები მონაწილეობენ პოლიტიკურ და პრესის მიმართ ჩადენილ დანაშაულთა განხილვაში. ამ ქვეყნებში ძირითადად სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ ერთი მოსამართლისა და ორი შეფენისაგან შემდგარი სასამართლო კოლეგიები. რაც შეეხება სამოქალაქო საქმეებს, მათ ძირითადად იხილავს ერთპიროვნულად მოსამართლე.<sup>37</sup> შედარებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგება სამი მოსამართლისა და 12 მსაჯულისაგან. ბელგიის სასამართლოს თავისებურება ისაა, რომ ნაფიც მსაჯულთა კოლეგიას განაჩენი გამოაქვს ხმათა უბრალო უმრავლესობით (7 ხმა სასარგებლოდ და 5 საწინააღმდეგოდ). ასეთ შემთხვევაში პროფესიონალ მოსამართლეებს შეუძლიათ, არ დაეთანხმონ მსაჯულთა მიერ განსასჯელის ბრალეულად ცნობის ფაქტს. ზოგი იურისტის აზრით, ეს თავისებურება გარკვეულ „კოლორიტულ“ იერს სძენს ამ ინსტიტუტს და იგი მცირედით ჰგავს ნაფიც მსაჯულთა კლასიკურ მოდელს.

კ) თითქმის მსგავსი სისტემა მოქმედებს შვეიცარიასა და ლუქსემბურგში, სადაც მსაჯულები მოიწვევიან ისეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების განსახილველად, როგორებიცაა: სამშობლოს ღალატი, სხვა პოლიტიკური ხასიათის საერთაშორისო სამართლის ნორმათა დარღვევა, ფედერალური თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულთა საქმეები და ა.შ. ამ ქვეყნებში მოქმედებს ე.წ. „ასიზთა სასამართლო“, რომელიც შედგება 6 ნევრისაგან (1 მოსამართლე და 5 ასიზი).<sup>38</sup>

### 3. სოციალისტური და პოსტსოციალისტური სამართლის ქვეყნები.

ცალკე საუბრის თემაა ე.წ. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, უწინარესად, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების სახალხო მსაჯულის ინსტიტუტი.

ა) საბჭოთა კავშირი. ამ სივრცეში ნაფიც მსაჯულთა ელემენტები გამოჩნდა საბჭოთა კავშირის შექმნამდე, ჯერ კიდევ 1864 წელს, როცა მეფის რუსეთში გატარდა სასამართლო რეფორმა, რომელიც მიჩნეულია როგორც დასავლურად მოაზროვნე იურისტთა ძალისხმევით

<sup>35</sup> Гуценко/Головко/Филимонов, Уголовный процесс западных государств, 2002, 33.

<sup>36</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული II, 2002, 231.

<sup>37</sup> მელქაძე და მისი გუნდი, მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, ნაწილი I, 2001, 370.

<sup>38</sup> იქვე, 2001, 291.

შედეგი.<sup>39</sup> თუმცა ამ ინსტიტუტმა, ბუნებრივია, იარსება მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამდე, მიუხედავად იმისა, რომ, რუს მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება იმდროინდელი სასამართლო რეფორმის მშვენიერ იყო. ამ ინსტიტუტმა რუსეთში დიდი პოპულარობა მოიპოვა, რუსული პრესა სისტემატურად აშუქებდა მათი მონაწილეობით განხილულ პროცესებს, გაიზარდა ორატორთა მთელი თაობა, მოსახლეობას ალუდგა ნდობა მართლმსაჯულებისადმი. საზოგადოების თითოეულ წევრს შეეძლო მსაჯულად გახდომა და მოსამართლის თანაბარი უფლებებით სარგებლობა განაჩენის გამოტანისას.<sup>40</sup>

ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ, როგორც აღინიშნა, რუსეთში გაუქმდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, როგორც ბურჟუაზიული ელემენტი, რის შემდეგაც, 76 წლის განმავლობაში, მას ამ ქვეყანაში არ უარსებია. ამ პერიოდში, საბჭოთა რეჟიმის არსებობისას შეიქმნა სრულიად განსხვავებული სახე – სახალხო მსაჯულები.

საბჭოთა კავშირში მოქმედი იდეოლოგიით, ნაფიცი მსაჯულები მიჩნეული იყო საშიშ, ლიბერალურ ინსტიტუტად. ამიტომაც მათ ნაცვლად სოციალისტურ ქვეყნებში მოქმედებდნენ ე.წ. „სახალხო მსაჯულები“, რომლებიც აირჩეოდნენ სამუშაო ადგილების მიხედვით, მოქალაქეთა კრებაზე, ღია კენჭისყრით. საბჭოური სახალხო მსაჯულები ანგლოსაქსური ნაფიცი მსაჯულების მსგავსად იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებიც მოინვეოდნენ წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. ისინი მუშების, გლეხების, მოსამსახურეთა კრებაზე აირჩეოდნენ ორი წლის ვადით. პირველი ინსტანციით ყველა სახის საქმეს იხილავდა სასამართლო მსაჯულთა მონაწილეობით, რომლებიც კოლეგიაში ყოველთვის უმრავლესობას შეადგენდნენ.

სახალხო მსაჯულები თავიანთი უფლებამოსილების განხორციელების დროს თავისუფლდებოდნენ სამუშაოდან. მათ ენიჭებოდათ მოსამართლეთა თანაბარი უფლება როგორც ფაქტის, ასევე სამართლის საკითხის დადგენის დროს. მოსამართლე, რომელიც განათლებით იურისტი იყო და სახელმწიფო თანამდებობაც ჰქონდა, ბუნებრივია, ძალზე დიდ გავლენას ახდენდა მსაჯულებზე და, ამიტომაც, როგორც წესი, კოლეგიის წევრებს პროცესზე ერთიანი პოზიცია ჰქონდათ. სახალხო მსაჯულებს, რენე დავიდის აზრით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გაცილებით მეტი ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდათ, ვიდრე ნაფიც მსაჯულებს. ნაფიცი მსაჯულები და, უწინარესად, „შეფენები“, რომლებთანაც სახალხო მსაჯულების შედარებას ცდილობენ ხოლმე, სასარგებლო როლს ასრულებდნენ, რადგან სასამართლოს ისინი სპეციალურ ტექნიკურ ცოდნას აწვდიდნენ (როგორც ამას შეფენები აკეთებენ), ან, პირიქით, სასამართლომდე ხალხის წარმოდგენები მიჰქონდათ და მოსამართლეთა იურიდიული პროფესიონალიზმის კორექტირებას ახდენდნენ. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში, სადაც როგორც მოსამართლეები, ისე სახალხო მსაჯულები არჩევითი იყო და არცერთს განსაკუთრებული პროფესიონალიზმი არ მოეთხოვებოდა, ეს მოსაზრებები ნაკლებად გამოსადეგი იყო.<sup>41</sup>

ბ) საქართველო. საქართველო ამ პერიოდში იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და, ბუნებრივია, ჩვენთანაც დაინერგა მსაჯულთა ინსტიტუტის საბჭოური ნაირსახეობა. როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ მუხლების ანალიზიდან ირკვევა, რომლებიც სახალხო მსაჯულებს ეხება, მათ ჰქონდათ მოსამართლისა და, განაჩენის დადგენის თუ რაიმე სხვა საკითხის განხილვისას, სხდომის თავმჯდომარის ტოლი უფლებები. როგორც მოსამართლეები, ასევე სახალხო

<sup>39</sup> Демичев, Перспективы Российского суда присяжных, Гос. и право, 2002, 11, 101.

<sup>40</sup> Петрухин, Суд присяжных: проблемы и перспективы, Гос. и право, 2001, №3, 5.

<sup>41</sup> დავიდი, თანამედროვეობის ძირითადი სისტემები, 1993, 175.

მსაჯულები აირჩეოდნენ კანონით დადგენილი წესით. პირველი ინსტანციით საქმეს იხილავდა 1 მოსამართლე და 2 სახალხო მსაჯული. ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ და მხოლოდ კანონს ემორჩილებოდნენ. ამასთან, არსებობდნენ სათადარიგო სახალხო მსაჯულები, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ და სახალხო მსაჯულის რაიმე მიზეზით კოლეგიიდან გასვლისას ჩაენაცვლებოდნენ მას, თუკი სისხლის სამართლის საქმის განხილვა დიდხანს გაგრძელდებოდა. ამასთან, სახალხო მსაჯულის სტატუსის ერთ-ერთი მახასიათებელი იყო ისიც, რომ იგი შეიძლებოდა ყოფილიყო აცილების როგორც ობიექტი (მხარეს შეეძლო მისი და სათადარიგო მსაჯულის აცილება), ასევე სუბიექტიც – იგი სასამართლო კოლეგიასთან ერთად წევრებად მოსამართლის აცილების საკითხს.<sup>42</sup>

ნაფიც მსაჯულთა სანაცვლოდ ბოლშევიკების მიერ შემოღებული 2 „სახალხო მსაჯული“ არასოდეს ყოფილა პროფესიონალი მოსამართლის გამანონასნორებელი საზოგადოებრივი საშუალება. ისინი მხოლოდ ფორმალურად სარგებლობდნენ ფართო უფლებამოსილებით, რის გამოც მათ სამართლიანად უწოდეს „კვერის დამკვერელები“. სსრკ-ის არსებობის ბოლო პერიოდში უკვე არავინ დავობდა ამ ინსტიტუტის ნაკლოვანებაზე, ამიტომაც გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა „პერესტროიკამ“, რომელიც სასამართლო რეფორმასაც ითვალისწინებდა, ოფიციალურად აღიარა მათი სისუსტე და გაითვალისწინა „გარკვეული შემთხვევები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გასამართლების უფლების საკანონმდებლო აღიარების,“ თაობაზე.<sup>43</sup> ეს იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია (ამას წარსულში სასამართლო პროცესებზე მსაჯულის ამპლუაში წამყოფი ადამიანები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ), სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა იყო მეტისმეტად ფორმალური, ვინაიდან მათ მხოლოდ ქალაქებში ჰქონდათ ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები და რეალურად, სურვილის შემთხვევაშიც, არ შეეძლოთ ეფექტიანად მიეღოთ მონაწილეობა საქმეთა ბედის გადაწყვეტაში – ყოველთვის დაესვათ მხარეთათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი შეკითხვები, მოესმინათ მათი პასუხები, აქტიურად ჩარეულიყვნენ ბრალის საკითხის დადგენასა თუ განაჩენის გამოტანის პროცესში და ა.შ. ამიტომ მათი მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში მეტწილად იყო ფიქცია, საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი.

გ) უნგრეთი. უნგრეთში, რომელიც ახლო წარსულში სოციალისტური ქვეყნების რიგს განეკუთვნებოდა, დღემდე მოქმედებს ისეთივე სახის სახალხო მსაჯულის ინსტიტუტი, როგორებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში იყო. თუმცა ბოლო ათწლეულებში მოხდა მისი მნიშვნელოვნად ტრანსფორმირება. კერძოდ, დღეისათვის მოქმედი კანონმდებლობით, არ შეიძლება სახალხო მსაჯულთა პასუხისმგებლობაში მიცემა მართლმსაჯულებაში ჩადენილ დანაშაულთა გამო, პრეზიდენტის თანხმობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ უნგრეთში მოსამართლისა და მსაჯულის თანამდებობების დასაკავებლად თითქმის თანაბარი პირობებია საჭირო. იმისათვის, რომ მოქალაქემ დაიკავოს მოსამართლის თანამდებობა, ან გახდეს სახალხო მსაჯული, საჭიროა, იგი იყოს 24 წლის ასაკს მიღწეული, არანასამართლევია, საარჩევნო უფლების მქონე უნგრეთის მოქალაქე. ამასთან, მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად დამატებით საჭიროა უმაღლესი იურიდიული განათლება. სახალხო მსაჯულების კანდიდატურებს წამოაყენებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამომრჩევლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო და ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (გარდა პოლიტიკურისა). სახალხო მსაჯულები აირჩევიან 4 წლის ვადით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. ამ ქვეყანაში მოქმედი სახალხო მსაჯულები უფრო კონტინენტური ევროპის მსაჯულთა კატეგორიას განეკუთვნებიან, ვიდრე ანგლოსაქსური ნაფიცი მსაჯულებისას. სასამართლო

<sup>42</sup> საბჭოთა საქართველოს სახალხო მსაჯულების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით იხ. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13, 244-ე მუხლები.

<sup>43</sup> თეიმანი, პროკურატურის რეფორმა რუსეთში – პროკურორი: ბრალმდებელი თუ აღმასრულებელი ხელისუფლების თვალი?, მართლმსაჯულების მაცნე, 1996, 3, 3.



## სტატისტიკური ფორუმი

კოლეგიაში შედის 1 მოსამართლე და 2 მსაჯული, რომელთაც თანაბარი უფლება აქვთ და წყვეტენ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.<sup>44</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნგრეთში, როგორც სოციალისტური ბანაკის ქვეყანაში, დღემდე აშკარად შეინიშნება საბჭოური ტიპის სახალხო მსაჯულების იდეოლოგიის გარკვეული გავლენა.

საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ პოსტსოციალისტურმა ქვეყნებმა სცადეს ძველი, რევოლუციამდელ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება, რაც რუსეთმა ექსპერიმენტის წესით განახორციელა კიდეც 1993 წლის 16 ივლისს. შემდგომ ამისა, ამ ინსტიტუტის განმტკიცება მოხდა რუსეთის კონსტიტუციით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით. 2001 წლის საპროცესო კოდექსმა კი დაადგინა მისი შემოღება მთელ ქვეყანაში – გარკვეული ინტერვალით.

ოფიციალური სტატისტიკა მეტყველებს რუსეთში ამ ინსტიტუტის მზარდ პოპულარობაზე. იმ რეგიონებში, სადაც მოქმედებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ბრალდებულთა სულ უფრო და უფრო დიდი ნაწილი ითხოვს, რომ მათი საქმეები განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ. (1994 წელს – 20,4%, 1995 წელს – 30,9%; 1996 წელს – 37%; 1998 წელს – 43,2%; 1999 წელს – 44%). ასევე იზრდება იმ პირთა რიცხვი, რომელთა მიმართაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი (1994 წელს – 241; 1995 წელს – 544; 1996 წელს – 618; 1997 წელს – 825; 1998 წელს – 800; 1999 წელს – 867).<sup>45</sup>

აღნიშნული სტატისტიკა და თანამედროვე რუსი იურისტების შეფასებები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ამ ქვეყანაში გაამართლა და იგი მზარდი პოპულარობით სარგებლობს ხალხში.

რუსეთის კანონმდებლობით, ბოლო დრომდე დაშვებული იყო სისხლის სამართლის საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვისას ორი სახალხო მსაჯულის მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ 2001 წლის სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი რუსეთის ყველა ფედერაციულ სუბიექტში როდი მოქმედებდა – მთელი 7-8 წლის მანძილზე. მათი მონაწილეობის საქმეები განიხილებოდა მხოლოდ სევასტოპოლის, ალტაის, კრასნოდარის მხარეებში, აგრეთვე ივანოვოს, მოსკოვის, რიაზანის, სარატოვის, ულიანოვსკისა და როსტოვის ოლქებში.<sup>46</sup>

## IV. დასკვნა

ამრიგად, როგორც ზემოთ განხილული ქვეყნების ნაფიც მსაჯულთა მოდელების ანალიზიდან ირკვევა, ამ ინსტიტუტს აქვს საკმაოდ მდიდარი ტრადიციები და, ასევე, დიდი დანიშნულება ჰქონდა მართლმსაჯულების განხორციელებაში მასების ჩართვის, სასამართლოსადმი ნდობის აღდგენის, ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხის გაუმჯობესების, ზოგან კი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მხარდაჭერის თვალსაზრისით, რასაც იგი საუკუნეების განმავლობაში წარმატებით ასრულებდა. თუმცა დღეისათვის, როდესაც მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებში ნაფიც მსაჯულთა პოპულარობა საგრძნობლად დაეცა და, შესაბამისად, შემცირდა მათი მონაწილეობით განხილულ საქმეთა რაოდენობა, ისმის კითხვა: რამდენად ეფექტური იქნება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა თუ ფუნქციონირება თანამედროვე, XXI საუკუნის, მსოფლიოში? – ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს საქართველოში, ვინაიდან, კონსტიტუციაში შეტანილი შესწორებით, დაშვებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში და ამჟამად დღის წესრიგში შეიძლება დადგეს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. თუმცა აღნიშნული საკითხი ცალკე სტატიის თემაა.

<sup>44</sup> საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, კრებული I, 1999, 370.

<sup>45</sup> Шурьгин, За пять лет суд присяжных дошёл до девяти регионов, 1998, 12, 5.

<sup>46</sup> Рыжаков, Постатейный комментарий к уголовно-процессуальному кодексу, 2001, 661.